

ნიუპორტი-ქუთაისის ასოციაციის დელეგაციის ვიზიტი ქ. ქუთაისში

16 მაისს სააგენტოს ოფისში შედგა შეხვედრა ქუთაისში სტუმრად მყოფ ნიუპორტი-ქუთაისის ასოციაციის დელეგაციასთან და ქუთაისი-ნიუპორტის საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელთან ქალბატონ მადონა მეგრელიშვილთან.

სტუმრებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობების შესახებ, პროექტებზე, რომლის განხორციელებასაც სააგენტო იწყებს და ასევე სამომავლო გეგმების შესახებ. სტუმრები კმაყოფილი დარჩნენ მიღებული ინფორმაციით. სააგენტოს სახელით ნიუპორტი-ქუთაისის ასოციაციას გაწეული მხარდაჭერისა და დახმარებისათვის საჩუქრად გადაეცა წიგნი “ძველი თბილისი”.